თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3612090

ნომერი: AR1546822

თარიღი : 05.10.2017

გაცემის თარიღი : 19.10.2017

გაცნობის თარიღი : 17.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნათია გრიგალაშვილი პ/ნ 20001013521
- თბილისი ლეხ კაჩინსკის ქ. N 11 ბ. 63

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1546822 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, #01.72.14.006.577 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემას და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 16 სექტემბერს #AR1537080 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ანა კაჭკაჭიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, #01.72.14.006.577 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ წერილში დასმული საკითხის ცნობის სახით მისაღებად საჭიროა ინტერაქტიულ რუქაზე მონიშნოთ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი. იმის გამო, რომ ამჟამად შეტყობინების სახით მონიშნულია მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.72.14.006.976 სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, შეტყობინების ცნობად მიღებასთან დაკავშირებით.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge